საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

აფრიდონიძე შუქია ტიმოთეს ასული

Image not found or type unknown



შ. აფრიდონიძე

აფრიდონიძე შუქია ტიმოთეს ასული (25. IV. 1940, თბილისი, - 28. V. 2022, იქვე), ენათმეცნიერი, ფილოლ. მეცნ. დოქტ. (2003), პროფესორი (2004). დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი (1963). 1965-69 მუშაობდა საქართვ. მეცნ. აკად. კიბერნეტიკის ინ-ტში ტექნიკოსად; 1969-76 - თსუ-ის ახალი ქართ. ენის კათედრასთან არსებულ ტოპონიმიკის ლაბორატორიაში, 1976-იდან კი - დოცენტად; 1982-2006 - ა. ჩიქობავას სახ-ბის ენათმეცნ. ინ-ტის ქართ. მეტყველების კულტურის განყ-ბის გამგედ და „ქართული სიტყვის კულტურის საკითხების“ რედაქტორად (1984-2004). 2006-იდან იყო ილიას უნივერსიტეტის პროფ., ქართ. ენის სწავლებისა და კვლევის მიმართულების ხელმძღვანელი.

ა-ის სამეცნ. კვლევის სფეროს განეკუთვნებოდა საქართვ. ტოპონიმიის, ლექსიკოლოგიის, ლექსიკოგრაფიისა, ფუნქციური გრამატიკისა და ქართ. ენის სტილისტიკის საკითხები. ამაგი დასდო ქართ. ენის მეცნ. აღწერა-სწავლებასა და უცხოურ საგანმანათლებლო სივრცეში მის პოპულარიზაციას. იგი იყო არაერთი განმარტებითი და ორენოვანი ლექსიკონის შემდგენელი. ავტორია ნაშრომებისა: „სიტყვათგანლაგება ახალ ქართულში“ (1986), „ჩვენი ენა ქართული“ (2002); „მიმართვის ფორმები ახალ ქართულში: სტრუქტურა და ფუნქციონირება“ (2023). ეწეოდა მთარგმნელობითს საქმიანობას. 2017 გამოიცა ა. კალანდაძის ლექსების მისეული თარგმანი.

დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2018).

ლიტ.: სალიტერატურო ენის საკითხები, IV, ეძღვნება პროფესორ შუქია აფრიდონიძის ხსოვნას, თბ., 2023.

ს. მეტრეველი